



სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სტრატეგიული წერილი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო
კომისიის 2017 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდის ფინანსური აუდიტის
ანგარიშის შედეგების შესახებ



საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ქალბატონ თამარ ჟვანიას

ქალბატონო თამარ,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანს წარმოადგეს, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. აუდიტს წარვმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით.

აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, შევისწავლეთ შესაფერისი შიდა კონტროლის მექანიზმები, ასევე შევაფასეთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობა, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობა.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა უარყოფითი მოსაზრება ქვემოთ აღწერილ გარემოებათა გამო.

წარმოგიდგენთ სარეკომენდაციო წერილს, რომელიც ასახავს აუდიტის პროცესში აღმოჩენილ უზუსტობებს, ნაკლოვანებებსა და მათ აღმოსაფხვრელად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

სარჩევი

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები.....	4
1.1 სხვა მატერიალური მარაგები.....	4
1.2 სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება	4
2. სხვა მნიშვნელობანი საკითხები	4
2.1 კონტროლის სისუსტეები	4

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

1.1 სხვა მატერიალური მარაგები

გამოვლენილი გარემოება:

ცესკოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაშთად ირიცხება წინა წლებში შეძენილი 4,843,817 ლარის ოდენობის მატერიალური მარაგები, საიდანაც 3,584,943 ლარის ოდენობის მარაგების არსებობის შესახებ ვერ იქნა წარმოდგენილი საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, ვინაიდან ნაწილი აღნიშნული მარაგებისა არის 2008 წლამდე შეძენილი და არ არის საინვენტარო მონაცემები, არ იძებნება აქტივების ექსპლუატაციაში გაცემის პირველადი დოკუმენტები, ბალანსში მარაგების ნაშთი წარმოდგენილია ჯამურად და არ არის გაშიფრული. ხოლო ცესკოს განამრტებით, 2008 წლიდან მოყოლებულ პერიოდზე, მუშავდება პირველადი დოკუმენტაცია მარაგების გაშიფვრის მიზნით.

შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება ფინანსურ ანგარიშგებაში, ფორმა N1-ში ასახული მატერიალური მარაგების - 3,585,465 ლარის ოდენობის ნაშთის არსებობაზე, სისრულესა და სიზუსტეზე.

რეკომენდაცია N1

ცესკოში, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ბალანსზე აღრიცხული 4,843,817 ლარის ოდენობის მატერიალური მარაგების პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის მოძიება, ინვენტარიზაციის ჩატარება, მათი რეალობის და არსებობის დადასტურება, ასევე საჭიროების შემთხვევაში კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად განსაზღვრული პროცედურების განხორციელება.

1.2 სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება

გამოვლენილი გარემოება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კრედიტორული დავალიანების 2,990,821 ლარის ოდენობის ნაშთი მოიცავს 2,959,315 ლარის ოდენობის ხანგრძლივი პერიოდის წინ წარმოშობილ კრედიტორულ დავალიანებას. აღნიშნული ნაშთის დადასტურების მიზნით, 2017 წელს კრედიტორების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები 2,950,315 ლარის ოდენობის კრედიტორული დავალიანების არსებობასა და სისრულეზე.

რეკომენდაცია N2

ცესკომ, სახელმწიფო ფინანსების ეფექტურად განკარგვის მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დეტალურად შეისწავლოს ბალანსზე აღრიცხული ვალდებულებების რეალობასთან და დაფარვასთან დაკავშირებული საკითხები და ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული პროცედურების განხორციელება.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 კონტროლის სისუსტეები

გამოვლენილი გარემოება

ორგანიზაციაში ინვენტარიზაცია უზრუნველყოფს აქტივებზე კონტროლს, აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ ეფექტიან მართვას.

ცესკოს 2011 წლის შემდგომ არ ჩატარებია კანონმდებლობით¹ განსაზღვრული სავალდებულო ინვენტარიზაციები, რის გამოც მოკლებულია შესაძლებლობას - განახორციელოს აქტივებისა და

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“.

ვალდებულებების ზუსტი და სრული აღრიცხვა, რაც კონტროლის მექანიზმების მნიშვნელოვან სისუსტეზე მიუთითებს.

რეკომენდაცია N3

ცესკომ, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის, მის საკუთრებაში არსებული ქონების დაცვის, არსებობის, სისრულის და მდგომარეობის შესახებ რწმუნების მისაღებად, ყოველწლიურად ჩაატაროს კანონმდებლობით განსაზღვრული სავალდებულო ინვენტარიზაცია, რაც ასევე ხელს შეუწყობს აქტივების არამართლზომიერი გამოყენების რისკების შემცირებას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE